03/07/2023

პეტრიწონის მონასტერში მონასტრის ისტორიის ამსახველი სტელა გაიხსნა

ა.წ. 2 ივლისს ბულგარეთში, პეტრიწონის (ბაჩკოვოს) მონასტერში, საზეიმო წირვა ჩატარდა, რომელშიც მონაწილეობდნენ მონასტრის წინამძღვარი, ველიჩკის ეპისკოპოსი სიონი, გორისა და ატენის მიტროპოლიტი ანდრია (გვაზავა), ბელშისკის ეპისკოპოსი ისააკი და ადგილობრივი ეკლესიების წარმომადგენლები.

საღვთო ლიტურღიას ბულგარეთში მცხოვრებ ქართველებთან და ჩვენს მომლოცველებთან ერთად დაესწრო საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ბულგარეთში ბ-ნი ოთარ ბერძენიშვილი.

სასიხარულოა, რომ წირვის დროს საგალობლები შესრულდა ქართულადაც.

ღვთისმსახურების დასრულების შემდეგ საზეიმოდ გაიხსნა პეტრიწონის მონასტრის ისტორიის ამსახველი სტელა და წაკითხულ იქნა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-

პატრიარქ ილია II-ის მისასალმებელი წერილი.

ამავე დღეს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროსა და საქართველოს საელჩოს ორგანიზებით გაიხსნა ქართული საეკლესიო საგანძურის ფოტოგამოფენა.

სამომავლოდ ქართული დიასპორის მონაწილეობით იგეგმება ქართული დარბაზის მოწყობაც.

გთავაზობთ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის წერილს:

მინდა გულითადად მოგესალმოთ პეტრიწონის მონასტერში დღეს შეკრებილთ და გამოვხატო მადლიერება ბულგარეთის, საქართველოს და, საერთოდ, ქრისტიანული სამყაროს ამ უმნიშვნელოვანესი ძეგლის ისტორიის ამსახველი სტელის დადგმისთვის.

ბაჩკოვოს კომპლექსის ფუძემდებელმა, ბიზანტიის იმპერიის დასავლეთ ნაწილის დიდმა დომესტიკოსმა და სევასტოსმა, ქართველმა დიდგვაროვანმა გრიგოლ ბაკურიანის ძემ, მოგეხსენებათ, ეს სავანე ქართველთათვის აღაშენა; ბიბლიოთეკით, ხატებით, ადგილ-მამულებით, შენობა-ნაგებობებით და სხვა საჭიროებებით ყოველმხრივ უზრუნველყო და ტიპიკონიც განუწესა.

აღსანიშნავია, რომ აქვე ფუნქციონირებდა სემინარია, რომელსაც 20 წლის მანძილზე ცნობილი ქართველი ფილოსოფოსი, იოანე პეტრიწი ხელმძღვანელობდა და მწიგნობრულ საქმიანობას ეწეოდა; მაგრამ ჟამთა ავბედობამ ტაძრებიც და მიმდებარე ნაგებობებიც იავარყო. თავდაპირველი მდგომარეობით მხოლოდ საძვალეღა შემორჩა, სადაც მონასტრის დამაარსებელი, გრიგოლ ბაკურიანის ძე და მისი ძმა, აბაზი, განისვენებენ. მათი ნაღვაწი კი აღდგენილი და განახლებული დღეს ჩვენი ქვეყნების და ეკლესიების მეგობრობის ყველაზე ნათელი დადასტურებაა.

ამ ერთობას აკურთხებს უძველესი რელიკვიაც, პეტრიწონის სასწაულთმოქმედი ღვთისმშობლის ქართული ხატი და მთელი ეს გარემო.

ამ მიმართვაში მინდა განსაკუთრებული მადლიერება გამოვხატო მისი უწმინდესობის, სოფიისა და სრულიად ბულგარეთის პატრიარქ ნეოფიტეს მიმართ, რომლის უშუალო დაქვემდებარებაშიცაა ბაჩკოვოს მონასტერი, ასევე ამ სავანის წინამძღვრის, ველიჩკის ეპისკოპოს სიონისადმი გაწეული მზრუნველობისათვის და აქ მოღვაწე მამებისადმი.

დაე, ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის, წმ. იოანე ნათლისმცემლის, წმ. გიორგის და სხვა წმინდანთა მეოხებით ღმერთმა მშვიდობით აკურთხოს ბულგარეთი და საქართველო, ჩვენი ეკლესიები და მთელი მსოფლიო;

ღმერთმა შეგვაძლებინოს ჭეშმარიტი გზით სვლა.

ილია II

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი

მცხეთა- თბილისის მთავარეპისკოპოსი,

ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი



სრულიად საქართველოს
კათოლიკოს-პატრიარქი
0114, თბილისი, მეფე ერეკლე II მოედანი 1
ტელ: (995 32) 2990378
ელ-ფოსტა: patriarchateofgeorgia@gmail.com

CATHOLICOS-PATRIARCH
OF ALL GEORGIA
1, King Erekle II sq. Tbilisi 0114
Tel: (995 32) 2990378
E-mail: patriarchateofgeorgia@gmail.com

მინდა გულითადად მოგესალმოთ პეტრიწონის მონასტერში დღეს შეკრებილთ და გამოვხატო მადლიერება ბულგარეთის, საქართველოს და, საერთოდ, ქრისტიანული სამყაროს ამ უმნიშვნელოვანესი ძეგლის ისტორიის ამსახველი სტელის დადგმისთვის.

ბაჩკოვოს კომპლექსის ფუძემდებელმა, ბიზანტიის იმპერიის დასავლეთ ნაწილის დიდმა დომესტიკოსმა და სევასტოსმა, ქართველმა დიდგვაროვანმა გრიგოლ ბაკურიანის ძემ, მოგეხსენებათ, ეს სავანე ქართველთათვის აღაშენა; ბიბლიოთეკით, ხატებით, ადგილ-მამულებით, შენობა-ნაგებობებით და სხვა საჭიროებებით ყოველმხრივ უზრუნველყო და ტიპიკონიც განუწესა.

აღსანიშნავია, რომ აქვე ფუნქციონირებდა სემინარია, რომელსაც 20 წლის მანძილზე ცნობილი ქართველი ფილოსოფოსი, იოანე პეტრიწი ხელმძღვანელობდა და მწიგნობრულ საქმიანობას ეწეოდა; მაგრამ ამთა აგებედობამ ტაძრებიც და მიმდებარე ნაგებობებიც იავარყო. თავდაპირველი მდგომარეობით მხოლოდ საძვალეა შემორჩა, სადაც მონასტრის დამაარსებელი, გრიგოლ ბაკურიანის ძე და მისი ძმა, აბაზი, განისვენებენ. მათი ნაღვაწი კი აღდგენილი და განახლებული დღეს ჩვენი ქვეყნების და ეკლესიების მეგობრობის ყველაზე ნათელი დადასტურებაა.

ამ ერთობას აკურთხებს უმველესი რელიკვიაც, პეტრიწონის სასწაულთმოქმედი ღვთისმშობლის ქართული ხატი და მთელი ეს გარემო.

ამ მიმართვაში მინდა განსაკუთრებული მადლიერება გამოვხატო მისი უწმინდესობის, სოფიისა და სრულიად ბულგარეთის პატრიარქ ნეოფიტეს მიმართ, რომლის უშუალო დაქვემდებარებაშიცაა ბაჩკოვოს მონასტერი, ასევე ამ სავანის წინამძღვრის, ველიჩკის ეპისკოპოს სიონისადმი გაწეული მზრუნველობისათვის და აქ მოღვაწე მამებისადმი.

დაე, ყოველადწმინდა ღვთისმშობლის, წმ. იოანე ნათლისმცემლის, წმ. გიორგის და სხვა წმინდანთა მეოხებით ღმერთმა მშვიდობით აკურთხოს ბულგარეთი და საქართველო, ჩვენი ეკლესიები და მთელი მსოფლიო;

ღმერთმა შეგვაძლებინოს ჭეშმარიტი გზით სვლა.

+ ილია II

სრულიად საქართველოს
კათოლიკოს-პატრიარქი
მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი,
ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი

თბილისი
22.06.2023





სრულიად საქართველოს
კათოლიკოს-პატრიარქი
0114, თბილისი, მეფე ერეკლე II მოედანი 1
ტელ: (995 32) 2990378
ელ-ფოსტა: patriarchateofgeorgia@gmail.com

CATHOLICOS-PATRIARCH
OF ALL GEORGIA
1, King Erekle II sq. Tbilisi 0114
Tel: (995 32) 2990378
E-mail: patriarchateofgeorgia@gmail.com

Искам най-сърдечно да поздравя събралите се днес, в Петриционския манастир и да изкажа своята благодарност за поставянето на тази знаменателна плоча, описваща историята на този най-важен паметник, както за България, така и за Грузия, както и за цялата християнска общност. Основателят на Бачковският комплекс, великият доместник на западните войски на Византийския император, грузинският благородник Григол Бакуриани, както знаете построи този оазис за грузинците, оборудвайки го с библиотека, икони, имоти, сгради и още други, необходими за неговите нужди неща, създавайки и типик за него.

Трябва да се отбележи, че тук функционира и семинария, която в продължение на 20 години се ръководи от известния грузински философ Йоан Петриционски, който също така е бил просветител.

Но поради неспокойните времена, храмовете и съседните сгради, бяха силно повредени. В оригиналният си вид е запазена само костницата, в която са погребани основателите на манастира Григол Бакуриани и неговият брат Абас Бакуриани.

Възстановяването на техния труд е най-голямото доказателство за приятелството между нашите страни и църкви. Това единство е осветено и от най-древната реликва – Чудотворната Пертиционската грузинска икона на Пресвета Богородица.

С това обръщение искам да изкажа специална благодарност на Негово Светейшество Неофит – Българският патриарх и Софийски митрополит и на игумена на този оазис Величкия епископ Сионий, за свършената работа, също така и на всички отци, служещи в манастира, ктиторите и дарителите.

Нека Господ благослови България и Грузия, нашите църкви и целия свят, чрез Света Богородица, Свети Йоан Кръстител, Свети Георги, Свети Николай, Свети Патриарх Евтимий и Светий Архангели Михаил и Гаврил.

Нека Господ ни помогне да вървим по праведния път!

Илия II

Католикос – Патриарх на цяла Грузия

Епископ на Мцхета-Тбилиси,

Митрополит на Бичвинта и Цхум-Апхазети

Тбилиси,

22 юни 2023 г.

patriarchate.ge